

## თენგიზ ვერულავა - გელათის აკადემია VS უჰაერო მღვიმე

გამოქვეყნდა ბლოგზე azrebi.ge, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20.12.2010

<http://azrebi.ge/index.php?pid=1212>

გულწრფელად გეტყვით, სიბრალულს განვიცდი იმ პირებთან მიმართებაში რომლებიც დროში ჩერდებიან ან არსებულ დროს ვერ აღიქვამენ, ან უფრო უარესი - უკან ეწევიან. სიბრალულს და არა ქილიკს. მაპატიეთ ამ სიბრალულით დაწერილი წერილის გამოც.

ქართველებს გვყავდა იოანე პეტრიწი, რომელსაც იმ ბნელ ხანაში, როდესაც ყოველივე წარმართული, ანტიური სიბრძნე დაგმობილი იყო ეკლესიის მიერ, ეყო გამბედაობა დაენახა მის ირგვლივ არსებული ბნელეთი და ისევ აედორძინებინა იმ დროისათვის ეშმაკეულად შერაცხული, შეგნებულად სრულიად დავიწყებული ანტიური სიბრძნე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხედავდა საფრთხეს, რომ ქრისტიანობა გადაიჩეხებოდა ბნელეთში. იოანე პეტრიწი ამით არამარტო ახალი დროის გამოწვევებს პასუხობდა, არამედ უსწრებდა კიდევ.

იგივეს ვერ ვიტყვით ანტონ კათალიკოსზე, რომელმაც დაგმო "ვეფხისტყაოსანი" და თავის "წყობილსიტყვაობაში" შოთა რუსთაველს "ამაოდ დამშვრალი" უწოდა. არადა შოთას აზროვნებას კვებავს არამარტო აღმოსავლური ან ანტიკური ფილოსოფია, არამედ ქრისტიანული ფილოსოფიაც. არაფერს ვიტყვი იმ ფაქტზე, რომ იგივე გაბოროტებულმა ქართველებმა დაწვეს და მტკვარში ჩაყარეს "ვეფხისტყაოსანი", როგორც ქრისტიანობისთვის მიუღებელი ნაწარმოები.

მიაქციეთ ყურადღება, რომ იოანე პეტრიწი მეთორმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა, ანტონ კათალიკოსი კი მეთვრამეტეში. ანუ, 6 საუკუნე გავიდა იოანეს შემდეგ, მაგრამ ქართველობა ანტონ კათალიკოსის სახით კი არ განვითარდა, პირიქით უკან წასულა. ისტორიის თემიდან კი ამ ორ, სრულიად განსხვავებულ ფიგურას თავისი ადგილი მიუჩინა. ისტორია არაფერ გაპატიებს, არც დროში გაჩერებას და არც ერთ ადგილზე ჩახვევას, როდესაც ეს ადგილი სრულიად ამოვარდნილია კაცობრიობის განვითარების არსებული კონტექსტიდან.

ქართულმა ეკლესიამ თავისი როლი ითამაშა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და ეს ეხება არამარტო 1980-იანი წლებს, არამედ 1900-იან წლების დასაწყისსაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თვალსაზრისით. და არამარტო ამ პერიოდებს. საქართველოს ისტორიაში უხვად მოიპოვება ქართული ეკლესიის უდავოდ დიდი როლის მაგალითები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. და არამარტო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იოანე პეტრიწს და გელათის აკადემიას ფასდაუდებელი წვლილი

მიუძღვის კაცობრიობის წინაშე და იმ დროის სქოლასტიკით ჩაბნელებულ მსოფლიოს ანათლებდნენ თავიანთი ნოვატორული მსოფლმხედველობით.

ამის ფონზე სრულიად ანაქრონიზმად გვეჩვენება ერთ-ერთი თანამედროვე სასულიერო მოღვაწის განცხადება, რომ თითქოს რუსეთის ოკუპაცია ღვთის წყალობა იყო საქართველოსათვის, რადგან რუსული სამხედრო ბლოკპოსტები ზეციური დაბრკოლებებია საქართველოსათვის ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე. დღეს, როდესაც განმანათლებლობის ბუმი, როდესაც ინტერნეტის თუ სხვა ტექნოლოგიებით ასე ხელმისაწვდომი გახდა პიროვნების განათლების ამაღლება, ეკლესიას ერთადერთი გამოსავალი რჩება - ან უნდა ამაღლდეს იოანე პეტრიწისდარ ნოვატორობამდე, გამბედაობამდე და არ შეუშინდეს დოგმების მსხვრევას, თვალი გაუსწოროს თანამედროვე მსოფლიოს, ახალი დროების მოთხოვნებს თუ გამოწვევებს, ან დარჩება დახურულ, უჰაერო მღვიმეში, რომელსაც უფრო და უფრო აკლდება სინათლეც და ჰაერიც.

მიიღეთ ეს წერილი როგორც სიბრალული და ტკივილი.